პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 მაისი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 95 (9762) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# რუსუდან ხოფერია მსოფლიო ჩემპიონია!

### პირველად ჩვენი სპორტის ისტორიაში — შინ სამი ოქროს მედლით

**ქართველმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა რუსუდან ხოფერიამ, პირველად ჩვენი რესპუბლიკის სპორტის ისტორიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ბატუტზე ინდივიდუალურ ხტომაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მეორე ოქროს მედალი რუსუდანმა გუნდურ პირველობაში დაისაკუთრა. მესამე — სინქრონულ ხტომებში. ეს ცნობა აშშ-ის ქალაქ ბირმინგემიდან მივიღეთ.**



**თბილისის** 48-ე სკოლის მეათეკლასელ მოსწავლეს, თხუთმეტი წლის რუსუდან ხოფერიას კარგად იცნობენ სპორტის მოყვარულები. საქართველოს ბატუტზე მხტომელთა ყველა უმაღლესი მიღწევა სწორედ მას ეკუთვნის. რუსუდანი ცამეტი (!) წლის იყო, როცა საბჭოთა კავშირის IX სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა. მოგვიანებით მან ევროპის ჩემპიონატის ოქროს (გუნდური) და ვერცხლის (სინქრონული) მედლებიც დაიმსახურა, ახლა კი, როგორც ვთქვით, რუსუდანმა მსოფლიოში უძლიერესის სახელიც მოიპოვა.

მფრინავ-კოსმონავტ გ. დობროვოლსკის ხსოვნისადმი მიძღვნილ საკავშირო შეჯიბრებაზე, რომელიც სულ ახლახან გაიმართა თბილისში, რუსუდანი ცოტა არ იყოს, მოწყენილი იყო — ადრე მიღებული ტრავმა კვლავ აწუხებდა. არადა, ეს შეჯიბრება გენერალური რეპეტიცია იყო მსოფლიო ჩემპიონა-

იხ. მე-3 გვ.

გამოხმაურება წერილზე: „ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე“

## საერთო დაინტერესება, წინადადებები...

„ლელოს“ 12 მაისის ნომერში ყურადღებით გავეცანით ფიზიკური მომზადების ნორმატივებს უმაღლეს სკოლაში შემსვლელთათვის და გთავაზობთ ჩვენს მოსაზრებებს:

ვფიქრობთ, უმაღლეს სკოლაში უნდა ჩატარდეს გამოცდა ფიზიკურ მომზადებაში. მართალია, საგანს, რომელსაც სკოლაში სწავლობენ, „ფიზიკური კულტურა“ ეწოდება, შემოთავაზებული ნორმატივების მხოლოდ ნაწილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის კომპლექსური პროგრამისა.

რაც შეეხება ფიზიკურ ვარჯიშთა ვარიანტებსა და ნიშნებს, ამ ეტაპზე მისაღებია მეორე ვარიანტი. მარტო ჩათვლებით მიზანს ვერ მივაღწევთ. რაკი კარგი საქმე წამოვიწყეთ, ბოლომდე თანმიმდევრულნი უნდა დავრჩეთ. აბიტურიენტს ნიშანი სამივე დისციპლინაში (რბენა 100 და 1000 მეტრზე ან 2000 მეტრზე დროის გარეშე, იატაკზე წოლბჯენიდან ხელების მოხრა, გაშლა) მოგროვილი ბალების მიხედვით უნდა დაეწეროს. შედეგები ხუთბალიანი სისტემით უნდა შეფასდეს. საშუალო შეფასების მისაღებად დაგროვილი ბალების რაოდენობა უნდა გაიყოს ნორმატივთა რაოდენობაზე. მაგალითად, ვთქვათ, აბიტურიენტმა ერთ სახეში ერთი ბალი დაიმსახურა, დანარჩენ ორ სახეში — ოთხ-ოთხი. ჯამი იქნება ცხრა ბალი. ამ შემთხვევაში აბიტურიენტს ფიზიკურ მომზადებაში დაეწერება „დამაკმაყოფილებელი“, თორმეტი ბალის მოგროვებისას — „ფრიადი“. მაგრამ, როგორ მოვიქცეთ და რა ნიშანი დავუწეროთ აბიტურიენტს, თუ იგი დააგროვებს 10-დან 12, 13-დან 15 ბალამდე? ამ შემთხვევაში უკეთესი იქნება აბიტურიენტს ნიშანი მივუმატოთ. მაგალითად, 10-დან 12 ბალამდე დაიწერება „კარგი“, 13-დან 15 ბალამდე — „ფრიადი“.

**იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტები გამოცდებზე ერთნაირ ქულებს დააგროვებენ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, ვისაც ფიზიკურ მომზადებაში მაღალი ნიშანი ექნება.**

იხ. მე-4 გვ.

## ექვსი პრიზიორი

**ჩელიაბინსკში** გაიმართა 1972-1974 წლებში დაბადებულ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების 31 გუნდი (300-მდე ნორჩი სპორტსმენი). ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა სპორტკლუბი „შევარდენი“, რომელიც მთლიანად თბილისის სპორტკომიტეტის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის (დირექტორი ელდარ ფარჯანაძე) აღსაზრდელებით იყო დაკომპლექტებული.

საქართველოს ჭაბუკ მოჭიდავეებს თავი არც ამჯერად შეურცხვენიათ. ექვსი მათგანი ტურნირის პრიზიორი გახდა. პირველი ადგილები დაიკავეს: ვახტანგ გამცემლიძემ (46 კგ), ბესიკ ქართველიშვილმა (50 კგ) და ზურაბ ოქრომჭედლიშვილმა (58 კგ). მეორე საპრიზო ადგილებზე გია გოზალიშვილი (54 კგ) და გიგლა გოგუაძე (58 კგ) გავიდნენ, მესამეზე — აკოფ ოგანიანი (54 კგ).



ქეთევან არახამია



ქეთევან კახიანი

## დამარცხებულსაც საგზური

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობის საგზურის პრეტენდენტთა მატჩი ჭადრაკში ქეთევან არახამიასა და ქეთევან კახიანს შორის.

როგორც იცით, IV პარტია არახამიასათვის უკეთეს პოზიციაში იყო გადადებული. აქვე შეგახსენებთ პოზიციას — თეთრები: მფf7, ეe8, 3. d5, f5; შავები: მფd7, ეd1, რომელიც ასე გაგრძელდა: 66. f6 (ჩაწერილი სვლა) ეf1 67. ეe6 ეg1 68. მფf8 ეg2 69. f7 ეg1 70. ეh6 ეg2 71. ეh7 და შავები დანებდნენ.

კვირას უნდა გათამაშებულიყო მატჩის ბოლო, VI პარტია, მაგრამ იგი არ შედგა, რადგან პრაქტიკულად არაფერს ცვლიდა.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა ქეთევან არახამიას გამარჯვებით — 3:2. 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობის (ავსტრალია) საგზური მან მოიპოვა. ქეთევან კახიანი ევროპის პირველობაზე გაემგზავრება.

რა შეიძლება ითქვას განვლილი მატჩის შესახებ? რაღა თქმა უნდა, ქეთევან არახამიას გამარჯვება კა-

იხ. მე-4 გვ.

ყოველ სამშაბათს...

## რამ გაგახარათ, რამ დაგწყვიტათ გული?

8-15 მაისი

**გასული** კვირის განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანმა მოვლენამ მიიპყრო ჩვენი გაზეთის მკითხველთა ყურადღება.

**რამ გაგვახარა? სპორტის გულშემატკივრები აღფრთოვანებულნი არიან იმით, რომ სულ რაღაც ერთ კვირაში საქართველოს ორმა სპორტსმენმა ხრისტინა ფალასანიდიმ სინქრონულ ცურვაში და რუსუდან ხოფერიამ ბატუტზე ხტომაში არნახულ წარმატებას მიაღწიეს. ხრისტინამ ევროპის თასი მოიპოვა ჯგუფურ ასპარეზობაში, მეორე იყო დუეტში და მესამე სოლო ვარჯიშში. შინ მსოფლიო პირველობის სამგზის გამარჯვებული დაგვიბრუნდება რუსუდან ხოფერია.**

**თანამედროვე ხუთჭიდის ჩვენი შესანიშნავი რაინდის ვახტანგ იაგორაშვილის წარმატებათა სერია გრძელდება. ამ სპორტსმენმა სპორტის მოყვარულებს ახალი სიხარული მოუტანა — მეორე ადგილი დაიკავა უნგრეთში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებაში. ვახტანგი საუკეთესო იყო საბჭოთა ნაკრებიდან. საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის გათამაშების ტრადიციულ ასპარეზობაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ოთარ მჭედლიშვილმა.**

**განვლილ კვირაში საერთო დაინტერესება გამოიწვია „ლელოში“ გამოქვეყნებულმა წერილმა „ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე“. მკითხველები აგრეთვე განსაკუთრებით გამოჰყოფენ რუბრიკებით „გულშემატკივრის კუთხე“, „აწმყო შობილი წარსულისაგან“, „კვიმატი ობიექტივი“ გამოქვეყნებულ მასალებს. კმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ 8 მაისს, კვირას „ლელო“ 8 გვერდიანი გამოვიდა.**

### გულდასაწყვეტი ამბებიდან

გულშემატკივრები განსაკუთრებით აღნიშნავენ თბილისის დინამოელთა წარუმატებელ თამაშს მიმდინარე საფეხბურთო სეზონში. საყვედურებით აღსავსე წერილები მოდის რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან, საქართველოს გარედანაც კი. მკითხველები გვსაყვედურობენ რომ გაზეთში ცოტა შუქდება რესპუბლიკური უნივერსიადის მიმდინარეობა.

გამოხმაურებისა და აზრთა გაზიარებისთვის რედაქცია მადლობას უხდის მ. გოგოლაძეს, გ. ბადრიძეს, ს. მიხელაშვილს, ვ. ბორჯაძეს, ს. ნაკაიძეს, ბ. რიყამაძეს, ვ. კიკნაძეს, ა. მამაიაშვილს, ნ. ჭანტურიას, ვ. ფაცურიას (ყველა — თბილისი), თ. მურადაშვილს (კახის რაიონი, აზერბაიჯანის სსრ), მ. ჩაჩნიძეს (გარდაბანი), ნ. პაჭკორიას (აბაშა), გ. ბოლაშვილს (სიღნაღი), ი. ჯალაღონიას (ჩხოროწყუ), ნ. პერონიძეს (ზესტაფონი), გ. ჯანაშიას (გეგეჭკორი), დ. სულაქველიძეს (მახარაძე), გ. დოლიშვილს (ლენინგორი).

ტელეტაიპი - მკითხველი

**ბოკა-რეტონი** (აშშ, ფლორიდას შტატი). აქ გამართულ წყალში მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში 21 ქვეყნის სპორტსმენები გამოდიოდნენ. ერთმეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვება მოიპოვა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა გრეგ ლუგანისმა (აშშ) — 659,25 ქულა. კიეველი ვალერი სტეცენკო მეშვიდე ადგილზე გავიდა (558,24), მოსკოველი სერგეი ლომანოვსკი კი — მეცხრეზე (538,38). მაგრამ ამის შემდეგ ლუგანისმა ტრავმა მიიღო და შეჯიბრებაში აღარ გამოსულა. ამიტომ 10 მეტრიანი კოშკიდან ხტომაში 14 წლის ჩინელმა სიუნ ნიმ იმარჯვა (644,58). მოსკოველ ვლადიმერ ტიმოშინს მესამე შედეგი ჰქონდა (610,29). ქალთა შორის ამ სახეობაში პირველი იყო 14 წლის ჩინელი გოგონა ჩენ სიაოდანი (505,71).

**მოსკოვი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი მატჩი ცსკა-ს ხელბურთელმა ვაჟებმა გფრ-ის კლუბს „ტუსემს“ მოუგეს — 18:15 (10:8). განმეორებითი შეხვედრა 23 მაისს გაიმართება.

**ვიურცბურგი (გფრ).** აქ მიმდინარე ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში უფროსმა ანდრეი ჩერკასოვმა დაამარცხა ივა ვერნერი (გფრ) 6:4, 1:6, 7:6 და ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალში ითამაშებს კალინინგრადელი ალექსანდრე ვოლკოვიც, რომელმაც მანამდე საშა ნენსელს (გფრ) მოუგო 6:1, 6:7, 6:4. მეოთხედფინალში მოსკოველი ანდრეი ოლხოვსკი ჰანს-დიტერ ბოიტელთან (გფრ) დამარცხდა — 1:6, 6:3, 3:6.

## ლიდერი შეიცვალა

**ზაკოპანე.** მშვიდობის ველორბოლის. მეექვსე ეტაპმა ლიდერთა განლაგებაში არსებითი ცვლილებები შეიტანა. ამ ეტაპს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების წევრები მოუთმენლად ელოდნენ, ვინაიდან ინდივიდუალურ რბოლაში თავს სხვებზე უფრო მომზადებულად თვლიდნენ.

32 კილომეტრიან დისტანციაზე დაყოფილი სტარტით მართლაც ყველას უვე ამპლერმა (გდრ) აჯობა — 47.57. გამარჯვებულს 14 წამით ჩამორჩა კიეველი ვლადიმერ პულნიკოვი, რომელმაც II ადგილი დაიკავა. მესამე შედეგი (48.17) ფრანგ ლორან ბეზოს ჰქონდა.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობა ხელთ იგდეს საბჭოთა ველოსიპედისტებმა. მათი შედეგია 59:19.14. გდრ-ის ნაკრები ლიდერს 53 წამით ჩამორჩება, მესამე ადგილზე მყოფი პოლონეთის გუნდი კი 4 წუთით და 06 წამით.

პირად ჩათვლაში პირველ ადგილს უვე ამპლერი ინარჩუნებს — 19:45.44. პულნიკოვს 23 წამით უარესი შედეგი აქვს, როგელ პიოტრ უგრიუმოვს კი — 35 წამით.

## სასკოლო ფიზკულტურა

# კლასებით—სტარტზე

**ზუგდიდის** მე-2 საშუალო სკოლის ღია მოედნებზე თუ სპორტულ დარბაზში ყოველდღე ისმის ბავშვთა ჟრიამული. აქ გაკვეთილების დამთავრებისთანავე კლასების გუნდებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრებები იწყება. ყველაზე მასობრივი ღონისძიებაა „იმედის სტარტები“ და მშიდ მრავალჭიდი.

სკოლაში დიდ ინტერესს იწვევს სპორტული თამაშებიც, განსაკუთრებით კალათბურთი და ხელბურთი. კალათბურთში სკოლის ჩემპიონები პიონერულ კლასებს შორის მონაწილეობდნენ გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზის გათამაშების ზონალურ პირველობაზე, რომელიც ფოთში გაიმართა. აქ ამ სკოლის გოგონათა და ბიჭების გუნდებმა უფლება მოიპოვეს შემდგომ ეტაპზეც გააგრძელონ ასპარეზობა.

სკოლის მინიფეხბურთელები გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ პრიზზე გამართულ ზონალურ ასპარეზობაშიც მონაწილეობდნენ და მეორე ადგილი დაიკავეს.

სისტემატურად ტარდება ტურისტული ლაშქრობები. მაისის ბოლოს კი შეჯამდება სოცშეჯიბრებების შედეგები და გამარჯვებული კლასები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და საჩუქრებით.

**ნელი ფარცვანია,**
**ფიზკულტურის მასწავლებელი, სახალხო განათლების წარჩინებული.**
ზუგდიდი.

# კროსის ბილიკზე

სამხრეთ ოსეთის პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება თანდათან ხვეწს და აუმჯობესებს მუშაობას. საზოგადოების მუშაკების მიერ ჩატარებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გახლდათ საგაზაფხულო მძლეოსნური კროსი ცხინვალის ლენინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. სტარტზე გამოვიდა ქალთა 5 და ვაჟთა 13 გუნდის 300-ზე მეტი სპორტსმენი: ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, სამკერვალო ფაბრიკის, სანერგე მეურნეობა-ტექნიკუმის, სამხატვრო და სამუსიკო სასწავლებლების, ცხინვალვაჭრობის, კავშირგაბმულობის, საქალაქო კვანძის, კრივის სკოლის, ავტოსატრანსპორტო გაერთიანების, „ემალსადენის“ და ვიბრომანქანის მშენებელი ქარხნების, ტრიკოტაჟის ფაბრიკის, ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის და სხვა საწარმოთა წარმომადგენლები.

გოგონებს შორის 500-მეტრიან დისტანციაზე განსაკუთრებულად დაძაბული ბრძოლა გაიმართა ანჟელა ხუბეჟოვას, ჟანა ბესთაევას, ანჟელა ბიქოევას შორის. პირველობა არავის დაუთმო სამკერვალო ფაბრიკის წარმომადგენელმა ჟანა ბესთაევამ. მეორე ადგილი დაიკავა ანჟელა ხუბეჟოვამ, ანჟელა ბიქოევა მესამე იყო.

ვაჟთა შორის 1000 მეტრზე რბენაში საუკეთესო შედეგი აჩვენა სანერგე მეურნეობა-ტექნიკუმის მოსწავლემ ვლადიმერ ლავოევმა, მეორე ადგილზე გავიდა იური კოჟუხოვი, მესამეზე — ალბერტ ვალიევი (ორივე სამკერვალო ფაბრიკიდან).

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი გოგონათა შორის სანერგე მეურნეობა-ტექნიკუმის გუნდმა დაიკავა, მეორე — სამკერვალო ფაბრიკის, მესამე — სამხატვრო სასწავლებლის გუნდმა.

ვაჟთა შორის უძლიერესნი იყვნენ პედინსტიტუტის მორბენლები, მეორე ადგილზეა ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ მორბენლები. ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის სპორტსმენები მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდნენ.

**ლეილა ხუგელიანი,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**



როგორც იცით, ამასწინათ დიღმის ტყეპარკში გაიხსნა სპორტული დიდების ხეივანი. მაშინ აქ, რა თქმა უნდა, ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა ლერი ხაბელოვმაც დარგო თავისი ხე, მაგრამ დამკვიდრებული წესის მიხედვით სპორტსმენი იმდენ ხეს დარგავს ხეივანში, რამდენჯერაც ევროპის, მსოფლიოს თუ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს. და აი, ხეივანში ახალ ხეს რგავს 1988 წლის ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ლერი ხაბელოვი.

## ლახტის წრეში

# როცა რიყეზე ქვის დანახვა უჭირთ

კარგა ხანს ფიქრობდნენ ბიჭები დაეწერათ თუ არა ეს წერილი, ელოდნენ საქმე იქნებ უჩვენოდაც გამოსწორდეს და სპორტული მოედანი თვითონვე მოგვიწყონო. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ყოველგვარი იმედი გადაეწურათ, გადაწყვიტეს ჩვენთვის, რედაქციისთვის მოემართათ. წერილს ხელს აწერდნენ ლევან დემეტრაშვილი, ლევან ბათხაძე, ვასილ ცინცაძე, დავით ლებანიძე, ბეჟან ხარებაშვილი, ვახტანგ კოპლაშვილი, ომარ რაზმაძე, ირაკლი ნებიერიძე, ლევან მელია, კახა რამიშვილი და სხვ. ეს ბიჭები თბილისის დიღმის მასივის მე-2 კვარტლის მე-10 და მე-17 კორპუსებში ცხოვრობენ.

ათი წლის წინათ ამ კორპუსებთან ბავშვებმა მშობლების დახმარებით შემოზიდეს მიწა, გაასწორეს, ჩასვეს ფეხბურთის კარები და თითქმის რვა წლის განმავლობაში თავისუფალ დროს როგორც პატარები, ისე უფროსები ჯანმრთელობას ამ მოედანზე იკაჟებდნენ. მოულოდნელად, ორი წლის წინ, მოვიდნენ მუშები, ძელები გადახერხეს, მოსახლეობას კი უთხრეს პირველი მაისის ალმასკომის დადგენილებაა — მოედნის თავზე მაღალი ძაბვის ელექტროსადენები გადის და აქ თამაში სახიფათოაო.

დღესდღეობით ეს პრობლემა აღარ არსებობს, მაგრამ მოედნის აღდგენაზე აღარავის უფიქრია. და აი, მოსახლეობამ დახმარებისთვის მიმართა 39-ე საბინაო-საექსპლუატაციო კანტორას, სახლმმართველმა ვლადიმერ ნადარეიშვილმა ყურადღებით მოუსმინა მომჩივნებს და შეპირდა, თუკი პირველი მაისის ალმასკომი ადრინდელ გადაწყვეტილებას შეცვლის, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვსო.

გადავწყვიტეთ, საქმეში რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გოჩა გოგოლაძეც ჩაგვერია, მან კი იმის მაგივრად, რომ მხარში ამოგვდგომოდა, უარის ნიშნად თავი გააქნია — მსგავს უავტორო (?!) წერილებს ყოველთვის საქაღალდეში ვაგდებო.

აი, სწორედ ამაზეა ნათქვამი, კაცს თუ არ უნდა, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო. გაუგებარია, რატომ ჩათვალა რაიონის სპორტის თავკაცმა წერილი ანონიმურად, როდესაც მას ოცამდე მოზარდი აწერს ხელს. ეგეც რომ არ იყოს, ნუთუ სპორტკომიტეტის თავმჯდომარე თვითონ არ უნდა იყოს დაინტერესებული, რომ რაიონში მუხლის გასაშლელი ასპარეზი ყველას ჰქონდეს?

პასუხს პირველი მაისის რაიონის ალმასკომიდან ველით.

**მაია იაკობიშვილი,**
**თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.**

## საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში

# ერთი რაიონის გუნდით

**ბარდაბნის** რაიონის განათლების განყოფილების გუნდით იყო წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკა რიგის საკავშირო ტურნირზე კლასიკურ ჭიდაობაში. ჩვენმა ნორჩმა ფალავნებმა თავი არ შეირცხვინეს და 7 საპრიზო ადგილი მოიპოვეს. პირველი ადგილები დაიკავეს გელა გორდაშვილმა (45 კგ), გელა ჩიტრეკაშვილმა (74) და შალვა ჯერენაშვილმა (69), მეორე — ზვიად ოსიაშვილმა (48) და როინ ჭილაშვილმა (52). გელა ჯერენაშვილი (52) და გიორგი ოშაყმაშვილი (48) მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ოშაყმაშვილმა ამ წარმატებას უფროსთა ტურნირში მიაღწია, სხვებმა — თანატოლთა (1971-1973 წ. წ. დაბადებულთა) შორის. ჩვენი გუნდის მწვრთნელია რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გოდერძი ჯოხაძე.

# ნუ გაიპარებით მთაში!

**მწვერვალზე,** თუნდაც ყველაზე ნაკლები სირთულის მწვერვალზე ასვლის ნებართვის მოსაპოვებლად მრავალი პრობლემა უნდა გადაწყვიტო. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ჯანმრთელი იყო და ამის დამადასტურებელი ცნობაც გქონდეს. ამის შემდეგ შეგიძლია ინსტრუქტორთა მეთვალყურეობით სათანადო მომზადება გაიარო, შენს პირველ მწვერვალზე, ყველაზე იოლად დასაძლევ მწვერვალზე იმავე ინსტრუქტორებთან ერთად ახვიდე, „ალპინიზმის ნიშნოსანი“ გახდე და „მთამსვლელის მოწმობაც“ დაიმსახურო.

მაგრამ, რაგინდ დიდი და გამოცდილი ალპინისტიც უნდა გახდე, ნებისმიერი სირთულის მწვერვალზე ასასვლელად ისევ და ისევ სამედიცინო გამოკვლევა, მთამსვლელთა ფედერაციის გადაწყვეტილება, ალპიური კლუბისა და სხვათა ოფიციალური ნებართვაა საჭირო.

მაინც, რა საჭიროა ამდენი ქაღალდომანია? უბრალოდ, მთებს ხუმრობა არ უყვართ, მწვერვალებთან, მეტისმეტი გაშინაურება არ შეიძლება. სამწუხაროდ, არიან ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომლებიც ამ ჭეშმარიტებას ივიწყებენ. მათთვის „შორი, თეთრი მწვერვალი“ საოცრად მიმზიდველი და იოლად ასასვლელი ჩანს. და ისინიც მიდიან, მიდიან ხშირ შემთხვევაში სრულიად მოუმზადებლები, სათანადო აღჭურვილობისა და საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე. ბევრი მათგანი, ტურისტია, თვითმოქმედი ტურისტი და „პარტიზანული“ მეთოდებით ცდილობს მწვერვალზე ასვლას. ასეთ ცდებს ხშირად მძიმე ფიზიკური და მორალური ტრავმა მოსდევს, ზოგი კი ტრაგიკულადაც მთავრდება.

ამის შესახებ „ლელოს“ ფურცლებზე არაერთხელ გვქონია საუბარი. სამწუხაროდ, იძულებული ვართ ამ მეტად უსიამოვნო თემას კვლავ დავუბრუნდეთ.

მყინვარწვერის კალთებზე, 3600 მეტრ სიმაღლეზე მდებარე მეტეოსადგურის თანამშრომლების, ტექნიკოს-ოპერატორების კონსტანტინე მაკოვსკისა და ნიკოლოზ კაკორინის ცნობით, ამ მწვერვალზე ასვლას მარტო ვერხვეტის მყინვარის მხრიდან, წელიწადში 2000-მდე კაცი ცდილობს. ახლა ამას მიათვალეთ ისინიც, რომლებიც მწვერვალზე სხვა მარშრუტებით მიდიან, ღამის სათევად მეტეოსადგურში არ შედიან და, ამდენად, მაკოვსკისა და კაკორინის მეთვალყურეობის გარეშე რჩებიან.

მაკოვსკისა და კაკორინის ცნობით, იმ 2000-მდე ამსვლელში სათანადოდ გაფორმებული მარშრუტი მხოლოდ 300-400 კაცს თუ აქვს. ეს კი, როგორც იტყვიან, ზღვაში წვეთია. დანარჩენ 80-85 პროცენტს შეადგენენ თვითმოქმედი ჯგუფების წევრები, რომლებიც „პარტიზანულად“ ცდილობენ მიზნის მიღწევას.

— გამოცდილებით ვიცით, რომ სამაისო დღესასწაულის დღეებში მყინვარწვერზე ასვლას მრავალი უნებართვო ჯგუფი ცდილობს, — გვეუბნება საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თენგიზ წივწივაძე. — ჩვენ ამისთვის მზად ვიყავით და ყაზბეგის რაიონში გამოცდილი ტურისტები მივავლინეთ, რათა მყინვარწვერზე ამსვლელთათვის კონტროლი გაგვეწია. სამწუხაროდ, ყველაფერი კეთილად მაინც ვერ დასრულდა. ზელენოგრადელთა ჯგუფს, რომელსაც არავითარი დოკუმენტაცია არ მათ არც რაიმე დოკუმენტაცია გააჩნიათ, არც გამოცდილება თუ საჭურველი.

იმავე მეტეოსადგურის თანამშრომელთა ცნობით, შარშან, მარტო აგვისტო-სექტემბერში, მყინვარწვერზე ასვლა 60-ზე მეტმა უცხოელმაც სცადა და ნებართვა... არც მათ ჰქონდათ.

ახლა ამას დაუმატეთ ისინი, ვინც უნებართვოდ მიდის ყაზბეგის რაიონის სხვა მწვერვალების დასალაშქრავად. ნურც მესტიის, ლენტეხისა და სხვა რაიონების მწვერვალებზე ამსვლელებს დაივიწყებთ.

რაღა გასაკვირია, რომ ჩვენს მთებში უბედური შემთხვევების რაოდენობა არ კლებულობს.

აი, იწყება ახალი ალპინისტური სეზონი და იწყება ჩვენ მწვერვალებზე მომხდარ უბედურ შემთხვევათა ახალი აღრიცხვა. უფრო სწორად, უკვე დაიწყო.

აპრილში ერთი ჩვენი რესპუბლიკის სტუმარი უნებართვოდ ავიდა მყინვარწვერზე, იქიდან თხილამურებით დაეშვა, ნაპრალში ჩავარდა და დაიღუპა.

ამ უბედური შემთხვევიდან ერთი თვეც არ გასულა და მაისის დღესასწაულის დღეებში მყინვარწვერის კალთებს მოაწყდა უამრავი ტურისტი, რომლებსაც მწვერვალზე ასვლის უფლება არ ჰქონდათ. გააჩნდა და ჩვენი ტურისტებისგან მალულად 4500 მეტრ სიმაღლემდე აღწია, ხიფათი შეემთხვა. ჯგუფის ერთ-ერთ წევრს ფეხი მოეყინა, მეორე, ერთ-ერთი საკონსტრუქტორო ბიუროს კონსტრუქტორი, 31 წლის ალექსანდრე კუშნარიოვი ცუდად შეიქნა. შემდეგ დაზუსტდა, რომ კუშნარიოვს ინფარქტი ჰქონია. მეტეოსადგურის, ჩვენი და სანავიაციის ერთობლივი ძალისხმევით კუშნარიოვი სასწრაფოდ თბილისში გადმოვიყვანეთ. ახლა იგი მე-2 საავადმყოფოშია და თავს უკეთ გრძნობს. არადა, მისი სიცოცხლე, როგორც იტყვიან, ბეწვზე ეკიდა.

როგორ, რა საშუალებებით შეიძლება ვებრძოლოთ მთაში გაპარულ „მთამსვლელებს“?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლია, მაგრამ ჩვენთან ამ საკითხის მოგვარება რატომღაც პრობლემა გამხდარა.

საქართველოს ალპიურ კლუბს, საკავშირო წესების თანახმად სამაშველო-საკონტროლო პუნქტი აქვს ყაზბეგში (აგრეთვე თბილისში, მესტიაში), იგი ვალდებულია შემოსული ჯგუფი აღრიცხვაზე აიყვანოს და, თუ მის წევრებს მწვერვალზე ასვლის უფლება არა აქვთ, უკანვე დააბრუნოს. ამას გარდა, სამაშველო-საკონტროლო პუნქტი მოვალეა პროფილაქტიკის მიზნით უზრუნველყოს მარშრუტის სახიფათო ნაწილის აღნიშვნა, სხვა მონაკვეთების მარკირება. მან რეგისტრაციაში გატარებული ჯგუფის წევრებს მარშრუტის მდგომარეობის შესახებ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, გაუწიოს სათანადო კონსულტაცია და ამსვლელებთან, ლაშქრობის დამთავრებამდე, რადიოკავშირიც დაამყაროს.

სამწუხაროდ, ეს ყველაფერი არ კეთდება. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ყაზბეგის სამაშველო-საკონტროლო სამსახურს არც რაიმე სადგომი გააჩნია, არც პორტატული რადიომიმღები და აპარატურა (თუმცა, შტატში რადისტი კი ჰყავთ) და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც სათანადო სრული აღჭურვილობა.

ასე გრძელდება წლიდან წლამდე.

შარშანწინ, როცა იმავე მყინვარწვერზე დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ვწერდით (ამის თაობაზე სხვა რესპუბლიკურ და საკავშირო გაზეთებშიც დაიწერა), ხსენებულ პრობლემასაც შევეხეთ, მაგრამ მდგომარეობა დღემდე არ შეცვლილა.

ერთადერთი, რაც დღესდღეობით ჩვენს სამაშველო-საკონტროლო სამსახურს შეუძლია, დაღუპულის მოძებნა და ჩამოსვენებაა, თანაც მოხალისეთა დახმარებით. არადა, სამაშველო-საკონტროლო სამსახურის უპირველესი დანიშნულებაა ყველაფერი იღონოს საიმისოდ, რომ დაღუპულთა ძებნა და ჩამოსვენება აღარ დასჭირდეს.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ, თუ საქართველოს ალპიური კლუბი და მისი სამაშველო-საკონტროლო სამსახურები ჩაშლილ მუშაობას საათივითააწყობენ, მწვერვალზე უნებართვოდ აღარავინ ავა და აღარც დაიღუპება ვინმე.

მართლაც, მწვერვალებისკენ მიმავალ ყველა გზაზე დარაჯს ვერ დავაყენებთ და შლაგბაუმს ვერ აღვმართავთ, მაგრამ ალპიური კლუბისა და მისი სამაშველო-საკონტროლო პუნქტების კარგი მუშაობით მთაში ხიფათი და ტრაგედია საკმაოდ იშვიათი გახდება. მანამდე კი...

მანამდე, რადგან თვითმოქმედმა, არაორგანიზებულმა ჯგუფებმა იციან, რომ ყაზბეგის რაიონში (მყინვარწვერის რაიონი, ხდის ხეობა, ჭაუხები) სამაშველო-საკონტროლო სამსახური ფაქტობრივად არ მოქმედებს და მწვერვალებზე ასვლაში ხელშემშლელიც არავინ ეგულებათ, მოდიან და მოდიან...

ყოველივე ამის გამო ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოსადგურის თანამშრომლები, როგორც თვითონ ამბობენ, ძალზე ცუდ დღეში არიან.

ხიფათში ჩავარდნილთა დახმარება ხშირად სწორედ მეტეოსადგურის თანამშრომლებს უხდებათ. ეს მაშინ, როცა მათ არც ალპინისტური გამოცდილება გააჩნიათ, არც საჭურველი აქვთ. შარშანწინ (მაშინ სამი კაცი დაიღუპა), შემოდგომაზე, მათ თოთხმეტჯერ მოუხდათ განსაცდელში ჩავარდნილთა დასახმარებლად მყინვარწვერის ფერდობებზე თუ ზედ მწვერვალზე ასვლაც.

— ტურისტებმა გვაცნობეს, მყინვარწვერზე ვიღაცა ასულა, მარტოდმარტო მწვერვალზე და აღარ ჩამოდისო. რა გვექნა. თავი ხიფათში ჩავიგდეთ, ავედით და ჩამოვიყვანეთ. თურმე იმ ეულ „მთამსვლელს“ სათვალე არ ჰქონია, თვალისმომჭრელი მზის სხივებისაგან დაბრმავებულა (დროებით, რა თქმა უნდა) და ველარ ჩამოდიოდა, — გვიამბო მეტეოსადგურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

მაშინ მეტეოსადგურის თანამშრომლებისთვისაც და იმ ეული „მთამსვლელისთვისაც“, შეიძლება ითქვას, ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა. საბედნიეროდ, ცოცხალი გადარჩა ის ზელენოგრადელიც, ინფარქტი რომ მოუვიდა.

მაგრამ კოკა ხომ მრავალგზის გამტყდარა და, თუ ასე გაგრძელდა, კვლავაც ბევრჯერ გატყდება.

ამიტომ, ნუ გაიპარებით მთაში, მით უმეტეს, როცა იქ მშველელიც არ არის.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

## I ლიგა

**15 მაისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების IX ტურის მატჩები.**

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (ბათუმი) 3:1 (0:0).**

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 15 მაისი.

„გურია“: ქანთარია, ბონდარუკი, ანდღულაძე, დანელია, ცაავა (იაგოვსკი), კაკილაშვილი (კაბისაშვილი), ჟორდანია, გოგრიჭიანი (ხლუსი), გოგიჩაიშვილი, ფრიდონაშვილი, აკოფიანი.

„დინამო“: ბალაძე, გოგიტიძე, მენაბდე (მახარაძე), დურდიაძე, ჩიქოვანი, მჭედლიშვილი, თორლაშვილი, ათუაშვილი, ბიგვავა, თოფურიძე (ქობელაშვილი), მაისურაძე.

მსაჯი ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

პირველ ტაიმში უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, ორივე გუნდი მოქმედებდა დაბალ ტემპში, უფერულად, თამაში უმეტესად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა.

შესვენების შემდეგ ბრძოლა მნიშვნელოვნად გამწვავდა. ლანჩხუთელები სწრაფად ამოქმედდნენ. მიმდინარეობდა 70-ე წუთი, როცა იაგოვსკი შეიჭრა დინამოელთა საჯარიმო მოედანზე, აქ კი იგი ხელით დაიჭირა ბალაძემ, მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა, დარტყმა ზუსტად შეასრულა ჟორდანიამ — 1:0.

გავიდა რამდენიმე წუთი, ბათუმელებმა სწრაფი კონტრიერიში განახორციელეს, ბურთი კარგ პოზიციაში მიიღო ათუაშვილმა და ანგარიშიც გაათანაბრა — 1:1.

დარჩენილი დრო ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა კვლავ ინიციატივიანად ჩაატარეს, ჯერ იაგოვსკიმ, შემდეგ კი აკოფიანმა 2 ბურთი გაიტანეს სტუმრების კარში და გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ.

„გურიამ“ მატჩი მოიგო, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერც გამარჯვებულმა და ვერც დამარცხებულმა ვერ აჩვენეს I ლიგის დონის შესაფერისი თამაში. ცხადია, ჩვენი რესპუბლიკის ორივე გუნდს შემდგომში კვლავ და კვლავ მართებთ ენერგიული მუშაობა საერთო კლასის ასამაღლებლად.

**ავთანდილ ორმოცაძე.**
**(„ლელოს“ კორ.).**

• • •

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დაუგავა“ (რიგა) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:2, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — ცსკა 0:1, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ზვეზდა“ (პერმი) 5:1, ასკ (დონის როსტოვი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 2:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 0:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 2:1, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:1, „პამირი“ (დუშანბე) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:2.

ლიგის შემდგომი, X ტურის მატჩები გაიმართება 18 მაისს. ამ ტურში ჩვენი რესპუბლიკის გუნდები თავისუფალი არიან. XI ტურში კი, 26 მაისს ლანჩხუთის „გურია“ შინ მიიღებს ზაპოროჟიეს „მეტალურგს“, ხოლო ბათუმის „დინამო“ — ნიკოპოლის „კოლოსს“.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 17 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ სტ. | 9 | 5 | 4 | 0 | 13-6 | 14 |
| „პამირი“ | 9 | 5 | 3 | 1 | 15-7 | 13 |
| ცსკა | 9 | 5 | 2 | 2 | 12-5 | 12 |
| „გეოლოგი“ | 9 | 5 | 2 | 2 | 11-7 | 12 |
| „კუზბასი“ | 9 | 5 | 0 | 4 | 8-8 | 10 |
| „როსტსელ.“ | 8 | 4 | 2 | 2 | 13-7 | 10 |
| „სპარტაკი“ | 9 | 4 | 2 | 3 | 11-12 | 10 |
| „კოტაიკი“ | 9 | 4 | 2 | 3 | 10-14 | 10 |
| „როტორი“ | 8 | 4 | 1 | 3 | 11-7 | 9 |
| ასკ რ. | 8 | 4 | 1 | 3 | 12-12 | 9 |
| „ყუბანი“ | 9 | 3 | 3 | 3 | 8-9 | 9 |
| „გურია“ | 9 | 4 | 0 | 5 | 10-11 | 8 |
| „შინიკი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 7-7 | 8 |
| „კოლოსი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 7-8 | 8 |
| „დაუგავა“ | 8 | 3 | 2 | 3 | 6-7 | 8 |
| ასკ „კარპატი“ | 8 | 3 | 1 | 4 | 11-7 | 7 |
| „ზარია“ | 8 | 2 | 3 | 3 | 9-8 | 7 |
| „ფახთაქორი“ | 9 | 2 | 3 | 4 | 10-12 | 7 |
| „ტავრია“ | 8 | 2 | 3 | 3 | 4-6 | 7 |
| „დინამო“ ბ. | 9 | 2 | 0 | 7 | 5-13 | 4 |
| „ზვეზდა“ | 9 | 0 | 4 | 5 | 6-15 | 4 |
| „მეტალურგი“ | 9 | 0 | 4 | 5 | 2-13 | 4 |

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა.

### გათამაშების ცხრილი

● ძირითადი შემადგენლობანი — მდგომარეობა 17 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 10 | 6 | 2 | 2 | 14-9 | 14 |
| 2. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 10 | 6 | 1 | 3 | 20-16 | 13 |
| 3. „დინამო“ (კიევი) | 9 | 5 | 3 | 1 | 12-3 | 13 |
| 4. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 9 | 5 | 3 | 1 | 12-6 | 13 |
| 5. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 10 | 4 | 5 | 1 | 10-5 | 13 |
| 6. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 10 | 4 | 3 | 3 | 12-10 | 11 |
| 7. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 10 | 4 | 3 | 3 | 9-9 | 11 |
| 8. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 10 | 5 | 0 | 5 | 9-11 | 10 |
| 9. „დინამო“ (მოსკოვი) | 9 | 4 | 2 | 3 | 11-11 | 10 |
| 10. „დინამო“ (თბილისი) | 10 | 4 | 0 | 6 | 15-17 | 8 |
| 11. „არარატი“ (ერევანი) | 9 | 3 | 2 | 4 | 6-7 | 8 |
| 12. „შახტიორი“ (დონეცკი) | 10 | 2 | 4 | 4 | 8-10 | 8 |
| 13. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 10 | 2 | 4 | 4 | 8-13 | 8 |
| 14. „დინამო“ (მინსკი) | 8 | 1 | 4 | 3 | 6-7 | 6 |
| 15. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 10 | 2 | 1 | 7 | 7-14 | 5 |
| 16. „კაირატი“ (ალმა-ათა) | 10 | 1 | 1 | 8 | 5-16 | 3 |

## ცვლილებები კალენდარში

**უმაღლესი** ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში ცვლილებები მოხდა, რის შესახებაც ცნობა გამოქვეყნებული იყო ჩვენს გაზეთში.

თბილისის დინამოელები ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ თამაშს გამართავენ ოდესაში, ადგილობრივ „ჩერნომორეცთან“. ეს მატჩი შედგება არა 27 მაისს, როგორც ადრე იყო განსაზღვრული, არამედ 22 მაისს.

ამ ტურის სხვა შეხვედრებიც 22 მაისს გაიმართება.

ჩემპიონატის საკავშირო მატჩები მინსკის „დინამოსა“ და კიევის „დინამოს“, ალმა-ათის „კაირატსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის შედგება 18 მაისს.

18 მაისს შედგება, აგრეთვე, სსრ კავშირის თასის ნახევარფინალური მატჩები. ვილნიუსის „ჟალგირისი“ შინ მიიღებს ხარკოვის „მეტალისტს“, ხოლო მოსკოვის „ტორპედო“ — დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“.

## საქართველოს პირველობა

14 და 15 მაისს შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XI ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის: „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0, „მეშახტე“ (ტყიბული)— „ბახტრიონი“ (ახმეტა) 1:1, „ივერია“ (ხაშური) — „არმაზი“ (მცხეთა)1:1,„ქართლი“ (გორის რ-ნი)— „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:2, „დინამო“ (გაგრა) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:1, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:1, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სულორი“ (ვანი) 4:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:2, „ეგრისი“ (ცხაკაია) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:3.

## II ლიგა

**გასულ კვირას გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები.**

გორის „დილამ“ მიმდინარე გათამაშებაში ორი თამაში სტუმრად გამართა, მათგან ერთი მოიგო, ერთი წააგო და მესამე ტურში 15 მაისს შინ მიიღო გროზნოს „თერგი“.

ჩვენი გორელი კორესპონდენტი **ილია თევდორაშვილი** „თერგთან“ ჩატარებული მატჩის თაობაზე გვატყობინებს: „თამაში დაიწყო სწრაფად, ტემპიანად და მასპინძლებმა უკვე დასაწყისშივე, პირველ წუთებზე მიაღწიეს წარმატებას: ერთ-ერთი იერიშისას ხუციშვილმა ზუსტად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში — 1:0. სტუმრებმა მარცხს გაძლიერებული შეტევებით უპასუხეს, მე-9 წუთზე „დილის“ მეკარე ღლონტმა ძალზე ძნელი ბურთი მოიგერია, გროზნოელებს შემდეგაც არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ წარმატების მისაღწევად.

მხოლოდ შემდგომში შეძლეს გორელებმა მდგომარეობის გამოსწორება, საბოლოოდ გუნდმა შეინარჩუნა უპირატესობა და გამარჯვებულმა დატოვა მინდორი.

**თბილისის** „შევარდენი“-სპი-მ თავის მინდორზე მიიღო კიროვაბადის „ქიაფაზი“. ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ეს გუნდი წარსულ წლებში პირველ და უმაღლეს ლიგებშიც კი თამაშობდა, ამიტომ მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

თამაში, მართლაც, ძალზე საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, 90 წუთის მანძილზე მინდორზე არ დამცხრალა შეუპოვარი ბრძოლა. თბილისელმა ფეხბურთელებმა კოლექტიურად, კარგად ითამაშეს და დამსახურებულადაც დაამარცხეს ძლიერი მეტოქე — 2:0. ბურთები გაიტანეს ჟვანიამ და ბაკურაძემ.

**დიდ** ინტერესს იწვევდა III ტურის მატჩი ქუთაისში, სადაც ადგილობრივმა „ტორპედომ“ მიიღო მახაჩყალის „დინამო“. ტორპედოელებმა ეს მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:2 და კიდევ უფრო განიმტკიცეს პოზიცია IX ზონაში. მათ ჯერ კიდევ პირველ ტაიმში 2 ბურთი გაიტანეს, ეს გააკეთეს კაპარავამ და მეგრელაძემ.

შესვენების შემდეგ დინამოელმა ვ. გომლენკომ შეძლო ანგარიშის შემცირება 1:2-მდე. ამის შემდეგ ტორპედოელმა მ. თევზაძემ კვლავ გაზარდა ანგარიში, 78-ე წუთზე კი ნ. გომლენკომ მეორე ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში. ქუთაისის „ტორპედომ“ საკუთარ მინდორზე პირველ გამარჯვებას მიაღწია, გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ჩხეიძე, პაპავა (ფრუიძე), გიგატაძე, ბზიკაძე, ჩხაიძე, შენგელია, კიკლიაშვილი, გაბისკირია, მეგრელაძე (მ. თევზაძე) დარასელია, კაპარავა.



**გლაზგოს** „სელტიკმა“ შოტლანდიის წლევანდელ საფეხბურთო სეზონში „დუბლი“ გააკეთა. ამ კლუბმა ამას წინათ ჩემპიონის წოდება მოიპოვა, შემდეგ კი შოტლანდიის თასსაც დაეუფლა. „სელტიკმა“ ფინალურ მატჩში დაამარცხა „დანდი იუნაიტედი“ — 2:1, ორივე ბურთი ფრენკ მაკავენიმ გაიტანა.

საინტერესოა, რომ „დანდი იუნაიტედმა“ თავისი არსებობის ისტორიაში მეხუთედ ითამაშა შოტლანდიის თასის გათამაშების ფინალში და მეხუთედ დამარცხდა.

**ბელგიის** ჩემპიონატის 33-ე ტურში „ბრიუგემ“ ანგარიშით 3:0 მოუგო „ინტერსლაგს“, 51 ქულა დააგროვა, მეტოქეთათვის მიუღწეველი გახდა და ჩემპიონობა მოიპოვა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს „ანტვერპენსა“ და „მეჰელენს“ შორის.

**საბერძნეთის** „ოლიმპიაკოსის“ შემადგენლობაში გამოდის ურუგვაელი ფეხბურთელი დიეგო აგირე. ამ ფეხბურთელს ორი წლით აუკრძალეს თამაში იმის გამო, რომ იგი დოპინგის მიღებაში ამხილეს. საბერძნეთის ჩემპიონატში ერთმანეთს შეხვდნენ „ოლიმპიაკოსი“ და „ვერია“. მატჩის შემდეგ ჩატარებულმა ანტისადოპინგო კონტროლმა გამოავლინა, რომ 23 წლის ურუგვაელს ამგზნები საშუალება მიეღო.

• • •

**ახალი** ბესტი! ასე შეარქვეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრებმა ბრაიან მაკლეირს, რომელმაც ამას წინათ „დერბისთან“ მატჩში „ჰეთ-თრიკი“ გააკეთა. მაკლეირი მიუახლოვდა ჯორჯ ბესტის მიერ 20 წლის წინ დამყარებულ კლუბის რეკორდს (20 გოლი სეზონის განმავლობაში). მან უკვე 19 გოლი გაიტანა.

**იტალიის** „სამპდორიისა“ და ქვეყნის ეროვნული ნაკრების ლიდერმა ჯანლუკა ვიალიმ უარყო „მილანის“ მოწვევა და თავის კლუბთან კონტრაქტი კიდევ ოთხი წლით გააგრძელა.

**პოლონეთის** ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვოიცეხ ლაზარევმა გადაწყვიტა, გუნდში დააბრუნოს 33 წლის ვეტერანი ზბიგნევ ბონეკი.

**ზეპ პიონტეკს** — დანიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელს გადაწყვეტილი აქვს თავდასხმის საშუალში ორივე ძმა ლაუდრუპი ათამაშოს. ნაკრების თავდასხმა უახლოეს საკონტროლო მატჩებში ასეთი იქნება: მიქაელ ლაუდრუპი, ფლემინგ პოულსენი და ბრაიან ლაუდრუპი.

**პორტუგალიის** ჩემპიონატში მოთამაშე უცხოელ ფეხბურთელთა შორის კარგი შედეგიანობით გამოირჩევიან ბულგარელები. მათ შორის პირველია „შავიშის“ თავდამსხმელი ზდრავკოვი — 18 გოლი.

**უელსის** ფეხბურთის ფედერაციამ გაანთავისუფლა ნაკრების უფროსი მწვრთნელი მაიკ ინგლენდი. ამ პოსტზე რამდენიმე კანდიდატს ასახელებენ, მათ შორის „ნოტინგემის“ მწვრთნელს ბრაიან კლაფს და „ლივერპულის“ ყოფილ ხელმძღვანელს ბობ პეისლის.

**ინგლისში** წლის საუკეთესო მოთამაშედ „ლივერპულის“ თავდამსხმელი ჯონ ბარნსი აღიარეს.

**(საქ. ინფ.).**

## ასე ფიქრობს პუშკაში

ეს მოკლე ინტერვიუ გაზეთ „ნეპშპორტში“ დაიბეჭდა. წარსულში ცნობილ ფეხბურთელს, ამჟამად 61 წლის ფერენც პუშკაშს შეხვდა ადგილობრივი კორესპონდენტი და თხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე:

● **ვინ მიგაჩნიათ უნგრეთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად?**

— იოჟეფ ბოჟიკი.

● **ვინ არის, თქვენი აზრით, მსოფლიოში ყველა დროის საუკეთესო თავდამსხმელი?**

— რა თქმა უნდა, პელე.

● **საუკეთესო მცველი?**

— ნილტონ სანტოსი.

● **საუკეთესო სტოპერი?**

— ფრანც ბეკენბაუერი.

● **საუკეთესო ნახევარმცველი?**

— დი სტეფანო ან ჰიდეგკუტი.

● **აქედან გამომდინარე იქნებ მსოფლიოს იდეალური ნაკრები დაგვისახელოთ?**

— გროშიჩი, ანდრადე, ბეკენბაუერი, ნ. სანტოსი, ბოჟიკი, მასოპუსტი, გარინჩა, ბ. ჩარლტონი, დი სტეფანო, პელე, ჰენტო.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „მთვრალები... სტადიონზე“

„ლელოს“ 14 მაისის ნომერში რუბრიკით „SOS“ გამოქვეყნდა მამხილებელი წერილი იმის თაობაზე, რომ სამტრედიაში დიდი დარღვევებით ჩატარდა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მატჩი II ჯგუფის გუნდებს შორის.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ განიხილა ეს სერიოზული ინციდენტი. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საქმის განხილვას არ ესწრებოდა სამტრედიის ფიზკულტურის კომიტეტისა და უშუალოდ ხის დამამუშავებელი კომბინატის არც ერთი ხელმძღვანელი მუშაკი, იყვნენ მხოლოდ მწვრთნელი და მინდვრიდან გაძევებული 8 ფეხბურთელი.

მოისმინა რა საქმის ვითარება, სპორტტექნიკურმა კომისიამ დაადგინა: დისციპლინის უხეში დარღვევისთვის რესპუბლიკური გათამაშებიდან მოიხსნას ხის დამამუშავებელი კომბინატის გუნდი, მინდვრიდან გაძევებულ 8 ფეხბურთელს სამუდამოდ აეკრძალა ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობის უფლება, სამტრედიის შინაგან საქმეთა განყოფილებას თხოვნა გაეგზავნა გამოავლინოს ის მაყურებლები, რომლებმაც ფიზიკურად შეურაცხყვეს მსაჯი, ხოლო რაიონის სპორტულმა ხელმძღვანელობამ კი შესაბამის ზომებს უნდა მიმართოს ხის დამამუშავებელი კომბინატის ფიზკულტურულ ორგანიზაციაში დისციპლინის განსამტკიცებლად.

## რუსუდან ხოფერია მსოფლიო ჩემპიონია!

(დასასრული)

ტის წინ. როგორც ვიუწყებოდით, რუსუდანმა მაშინ მაინც გადაწყვიტა შეჯიბრებაში ჩაბმულიყო. სავალდებულო პროგრამა მან წარმატებით დაძლია, მაგრამ მომდევნო ვარჯიშში აუტანელი ტკივილის გამო ბოლომდე პროგრამა ვერ შეასრულა, და იძულებული გახდა ტრიბუნიდან ედევნებინა თვალი ასპარეზობისთვის. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა რუსუდან ხოფერია, დობროვოლსკის სახელობის ტურნირში გამარჯვებულ თანაგუნდელ ანა დოლონაძესთან ერთად, ბათუმში მიიწვიეს ნაკრების შეკრებაზე. საბოლოოდ აქ უნდა გადაწყვეტილიყო, ვის მისცემდნენ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებს. მწვრთნელებმა მსოფლიო ჩემპიონებთან და პრიზიორებთან — ტატიანა ლუშინასთან, ელენა მერკულოვასთან, ირინა სლონოვასა და ელენა კოლომეეცთან ერთად რუსუდან ხოფერიაც აირჩიეს. სწორედ ეს ხუთეული გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იმ შემთხვევაში, თუ რუსუდანი სარბიელზე გამოსვლას ვერ შეძლებდა, მას გუნდის სათადარიგო წევრი ელენა კოლომეეცი შეცვლიდა, მაგრამ რუსუდანი წარმატებით გამოვიდა ამერიკელი მაყურებლის წინაშე და თავისი ტიტულოვანი თანაგუნდელებიც ჩამოიტოვა.

შეჯიბრება დამთავრდა, შეჯიბრება იწყება. რუსუდან ხოფერიას ოჯახის წევრებს, თანაკლასელებსა და გულშემატკივრებს უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლისა და სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ კოლექტივებს შეხვედრისა და მილოცვის გადადება მოუწევთ. სულ მალე ოდესაში დაიწყება მფრინავ-კოსმონავტ მ. დობროვოლსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც რუსუდანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა (ჩვენი რესპუბლიკიდან მის გარდა შეჯიბრებაზე მიწვეული არიან ანა დოლონაძე, ლია ბენდიანიშვილი და მიხეილ პელივანიდისი). ასე, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველებმაც უნდა გვადროვონ — მსოფლიო ჩემპიონთან ინტერვიუს მოგვიანებით შემოგთავაზებთ.

**ჯემალ ქასრაძე.**

# საერთო დაინტერესება, წინადადებები...

(დასასრული)

შეჯიბრებები ნაკადების მიხედვით უნდა ჩატარდეს ერთ დღეში, მაყურებელთა თვალწინ.

ვფიქრობთ, ფიზიკურ მომზადებაში გამოცდის შემოღების შემთხვევაში ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი იქნება იმ ნიჭიერი ახალგაზრდების მდგომარეობა, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ სხვა საგნებს, მაგრამ ფიზიკურ მომზადებაში ჯანმრთელობის გამო დადებით ნიშანს ვერ მიიღებენ. მათთვის, ბუნებრივია, გამონაკლისი უნდა დავუშვათ. ვაჟები, რომლებიც ავადმყოფობის გამო სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან განთავისუფლებული არიან, ფიზიკურ მომზადებაში გამოცდას არ ჩააბარებენ.

არჩევანი შემოთავაზებული ნორმატივების მეორე ვარიანტზე იმიტომ შევაჩერეთ, რომ დღეისთვის ის ყველაზე ოპტიმალურად მიგვაჩნია. 1000 მეტრის 2000 მეტრზე დროის გარეშე რბენით შეცვლა, რაც პირველ ვარიანტშია გათვალისწინებული, ბევრ გაუგებრობას გამოიწვევს.

რაც შეეხება მესამე ვარიანტს — გამოცდების სპორტის სახეების ამორჩევით ჩაბარებას, ეს დიდ ორგანიზაციულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. ესეც უნდა გავითვალისწინოთ: არის თუ არა ყველგან იმის პირობები, რომ ცურვაში გამოცდები ჩატარდეს? ეს მომავლის საქმედ გვესახება.

და ბოლოს, სპეციალისტთა ჯგუფი, რომელმაც ეს ნორმატივები და ნორმები შემოგვთავაზა, ეყრდნობოდა ფიზიკური აღზრდის სასკოლო პროგრამითა და მშდ კომპლექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მეტიც, ნორმები საკმაოდ გამარტივებულია, მაგრამ, მოდით, საქმეს რეალურად შევხედოთ, როგორ ვფიქრობთ, აბიტურიენტთა რამდენი პროცენტი ჩააბარებს დღ შესასრულებელ ნორმებს, რადგანაც წლეულს პირველად ჩატარდება ასეთი სახის, გამოცდები, კიდევ ერთხელ წინასწარ უნდა გადავსინჯოთ აბიტურიენტთა შესაძლებლობები.

**ზივი ხაჩიძე,**
**გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.**

---

ევროპის ღია ჩემპიონატი რეგბიში

## პირველი წრის შედეგები ქუთაისში შეჯამდება

სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) XXIII ჩემპიონატის მატჩში ესპანეთის ნაკრები მადრიდში დამარცხდა საფრანგეთის გუნდთან — 16:32.

ეს იყო ფირა-ს ანუ ევროპის ღია ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოსწინა მატჩი. დღეისათვის ჩემპიონატის ლიდერს, რუმინეთის ნაკრებს 10 ქულა აქვს (3 მოგება, 1 წაგება). ქულით ნაკლები აქვთ ფრანგ რეგბისტებს, რომლებმაც სამი შეხვედრიდან სამივეში გაიმარჯვეს. ამდენივე შეხვედრა ჩაატარა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა. ჩვენმა რეგბისტებმა 2 მატჩი მოიგეს, 1 წააგეს და 7 ქულით მესამე ადგილზე არიან. პირველი წრის უკანასკნელ მატჩში, რომელიც, როგორც გაუწყეთ, 22 მაისს გაიმართება ქუთაისში, სწორედ ეს გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს. სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურებზე იტალიელი და ესპანელი რეგბისტები იმყოფებიან: იტალიელებს 6 ქულა აქვთ (1 მოგება, 3 წაგება), ესპანელებს — 4 (4 დამარცხება 4 მატჩში).

### ინფორმაცია

**ედმონტონი.** „სტენლის თასის" ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ნხლ-ს ლიგის ჰოკეისტთა კლუბები „ბოსტონ ბრიუნზი" და „ედმონტონ ოილერსი". ამ უკანასკნელის მეტოქე „ნიუ-ჯერსი დევილზთან" მეშვიდე მატჩის შემდეგ გამოვლინდა, რომელიც ბოსტონელებმა მოიგეს ანგარიშით 6:2.

**სოფია.** მოსკოვის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის პირველ ეტაპზე გამარჯვება მოიპოვა. ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში ზონის გუნდი დაამარცხა — 108:54 (40:19). მეორე ჯგუფში ყველა შეხვედრა მოიგო სოფიის ნაკრებმა, მათ შორის ათენის გუნდთან — 76:73 (43:33). გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები: მოსკოვი — ათენი და სოფია — ბელგრადი.

---

## დამარცხებულსაც საგზური

(დასასრული)

ნონზომიერია, რადგანაც ის თავის ახალგაზრდა მეტოქესთან შედარებით უფრო გამოცდილია. გარდა ამისა, არახამია 1985 წლის მსოფლიო ჩემპიონია 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის. რაც შეეხება ქეთევან კახიანს, მან ამ მატჩში კარგად ითამაშა. V პარტიაში დაშვებული უხეში შეცდომა რომ არა, შეიძლება მატჩის ბედი სხვაგვარად წარმართულიყო. ჩვენმა ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, რომ 1986 წელს კახიანი 16 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატში მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა. არახამია-კახიანის მატჩის დამთავრების შემდეგ გავესაუბრეთ მათ.

**ქეთევან არახამია:** ჩემი აზრით, ეს მატჩი მეტად საინტერესო გამოდგა, რადგანაც მე და ქეთინო კახიანი სხვადასხვა სტილის მოჭადრაკეები ვართ. ის უფრო პოზიციურ თამაშს ანიჭებს უპირატესობას, მე კი — კომბინაციურს. ჩემს მიერ ნათამაშევი პარტიებიდან საუკეთესოდ მიმაჩნია მეოთხე, ყველაზე სუსტად კი — მეორე. რა თქმა უნდა, შედეგით კმაყოფილი ვარ, პარტიების ხარისხით კი — მაინცდამაინც არა. ალბათ, ბევრ პარტიაში უკეთესად შემეძლო მეთამაშა. ამ დღეებში მე და ნინო გურიელი კუბაში მივემგზავრებით საერთაშორისო ტურნირზე, იმედი მაქვს, წარმატებით ვითამაშებ.

**ქეთევან კახიანი:** თავიდანვე ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი. პირველ პარტიაში, რომელიც ყველაზე სუსტად ჩავატარე, ბევრი შეცდომა მომივიდა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო V პარტია, აქ დაშვებული უხეში შეცდომა რომ არა, ალბად შევძლებდი მატჩში გარდატეხის შეტანას. ჩემს მიერ ნათამაშევი პარტიებიდან რომელი მიმაჩნია საუკეთესოდ? დავასახელებ მეორე პარტიას, რადგან ამ პარტიაში ყველაფერი კარგად გამომდიოდა. რაღა თქმა უნდა, მატჩის შედეგით უკმაყოფილო ვარ, თამაშით კი — კმაყოფილი. ახლა საბჭოთა კავშირის ნახევარფინალისათვის დავიწყებ მზადებას.

ისღა დაგვრჩენია წარმატება ვუსურვოთ ორივე მოჭადრაკეს.

**ვასილ დიმიტრიძე.**

---

## ლიდერი ლიდერად რჩება

თანდათან უფრო და უფრო საინტერესო ხდება თითოეული ტური მოჭადრაკე ვაჟთა 48-ე რესპუბლიკურ ჩემპიონატზე.

ზედიზედ 3 გამარჯვების შემდეგ IV ტურში პირველი მარცხი იწვნია ოსტატობის კანდიდატმა თამაზ ტაბატაძემ, იგი ოსტატმა გია გიორგაძემ დაამარცხა.

პირველი გამარჯვება იზეიმა საერთაშორისო ოსტატმა იგორ ეფიმოვმა, რომელმაც თეთრი ფიგურებით ოსტატ ზურაბ მიქაძეს სძლია. მეტოქეებმა ლაზიერის გამბიტი გაითამაშეს. მიტელშპილში ეფიმოვმა პაიკი დათმო, საბოლოოდ კი განავითარა ფიგურები, გახსნა b ვერტიკალი და მეტოქის მეფეს საშიში მუქარები შეუქმნა. მიქაძე თავგამოდებით იცავდა თავს, მაგრამ მეტოქის მრავალმხრივი მუქარის მოგერიება ვერ შეძლო და თავი დამარცხებულად ცნო.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: თორია-ზაიჩიკი — 0:1, ჩაჩიბაია-სუპატაშვილი — 1:0, ტყებუჩავა-კიკიანი — 0,5:0,5, ხეცურიანი-გურგენიძე — 0,5:0,5, ბაღათუროვი-გოგიჩაიშვილი — 0,5:0,5.

V ტურში ძალზე საინტერესო გამოდგა ბუხუტი გურგენიძისა და თამაზ ტაბატაძის პარტია.

ჰოლანდიური დაცვაში თეთრებმა დებიუტში მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღეს. მეტოქეებმა სხვადასხვა მხარეს გააკეთეს როქი და პარტიამაც, როგორც ასეთი სახის პოზიციებს სჩვევიათ ხოლმე მძაფრი ხასიათი მიიღო. ტაბატაძემ თანდათან გამოასწორა მდგომარეობა, შემდეგ კი უპირატესობასაც დაეუფლა და მიტელშპილში მან ერთი პაიკი მოიგო, გურგენიძემ ცაიტნოტში შეცდომა დაუშვა, ფიგურა დაკარგა და დანებდა მეტოქეს.

აგერ უკვე თითქმის 20 წელია რაც ოსტატმა თამაზ კიკიანმა პრაქტიკულ თამაშს დაანება თავი, მაგრამ მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის წლევანდელ ჩემპიონატში იგი ძალზე კარგად თამაშობს. მეხუთე ტურში მისი მეტოქე ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატი გოჩა თორია იყო. ამ პარტიაშიც მეტოქეებმა ჰოლანდიურ დაცვას მიმართეს. მიტელშპილში კიკიანმა ლაზიერი დათმო, მაგრამ ცაიტნოტში თავი აარიდა ზედმეტ გართულებას და სვლების განმეორებით მეტოქენი დაზავდნენ.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: გოგიჩაიშვილი-ტყებუჩავა — 1:0, ზაიჩიკი-ჩაჩიბაია — 1:0, მიქაძე-ხეცურიანი — 0,5:0,5. გადაიდო ხვიჩა სუპატაშვილისა და იგორ ეფიმოვის, აგრეთვე გია გიორგაძისა და გია ბაღათუროვის პარტიები.

ამრიგად, 5 ტურის შემდეგ 4 ქულით შეჯიბრებას ერთპიროვნულად ლიდერობს თამაზ ტაბატაძე, 3,5 ქულა და ერთი გამოტოვებული პარტია აქვს გია გიორგაძეს, შემდეგ მოდიან: ბუხუტი გურგენიძე, თამაზ კიკიანი — 3-3, გენადი ზაიჩიკი (ყველა — თბილისი) — 2,5 (1).

**ვასილ ვაშაკიძე.**

---

## ანგარიში თანაბარია

**მოსკოვში** გრძელდება 16 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობის საგზურის პრეტენდენტთა მატჩი ჭადრაკში სოფიკო ტერელაძესა და იულია ლევიტანს შორის.

მესამე პარტიაში, რომელშიც თეთრი ფიგურებით იულია ლევიტანი თამაშობდა, მეტოქეებმა სიცილიური დაცვის ერთ-ერთი თანამედროვე ვარიანტი გაითამაშეს. ტერელაძემ დამაკმაყოფილებელი პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდეგ ძალზე პასიურად ითამაშა და მოწინაალმდეგის ძლიერი იერიშის ქვეშ მოექცა, შავების პოზიციის დაცვა შეუძლებელი აღმოჩნდა და 33-ე სვლაზე ტერელაძემ თავი დამარცხებულად ცნო.

გუშინ შედგა პირველი გადადებული პარტიის დამთავრება, რომელიც 78-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა.

ამრიგად, 3 პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარია — 1,5:1,5.

**ბეჟან ჩხაიძე.**
**(მოსკოვი, ტელეფონით).**

---

## კალათბურთის ამბები

**სან-პაულუ.** ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის წინ კარგ სპორტულ ფორმაშია ბრაზილიის ნაკრები. აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში მან უკვე ორი მატჩი მოიგო — მექსიკასთან (119:98) და გფრ-თან (86:76).

**ბუენოს-აირესი.** კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ ვაჟთა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში ჩაატაროს. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ფედერაციის აღმასკომის წევრთა რვასაათიანი დისკუსია, რომლის შედეგადაც არგენტინის კანდიდატურას მხარი 15-მა დელეგატმა დაუჭირა (რვის წინააღმდეგ).

**ტურკუ (ფინეთი).** ევროპის ჩემპიონატის აქ მიმდინარე საკვალიფიკაციო ტურნირში (ქალთა გუნდები) ფინალის საგზურები ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის გუნდებმა მოიპოვეს. რამდენიმე ხნით ადრე ანალოგიური შეჯიბრება კატანზაროში (იტალია) ჩატარდა. იქ საგზურები იტალიისა და ჰოლანდიის კალათბურთელებმა გაინაღდეს.

### „სპორტლოტო"

**15 მაისს** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-20 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 3 (ბობსლეი), 4 (კრივი), 6 (ძიუდო) 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 31 (ფარიკაობა), 39 (ბადმინტონი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 3 (ბობსლეი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 17 (ციგურაობა), 21 (ცურვა), 33 (ფეხბურთი).

### „სპორტპროგნოზი"

**20-ე ტირაჟის შედეგები (14-15 მაისი)**

1—1, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—2, 7—X, 8—2, 9—1, 10—X, 11—X, 12—1, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

---

ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

## ექვსი ოქროს მედალი

**კოლბოტნი (ნორვეგია).** აქ დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საბჭოთა ათლეტებმა ექვსი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ეს დიდი წარმატებაა ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი გუნდი სანახევროდ დებიუტანტებისაგან შედგებოდა.

ნორვეგიის პრესამ ჩვენი გუნდიდან განსაკუთრებით გამოჰყო ალექსანდრე კარელინი (130 კგ) და ალექსანდრე შესტაკოვი (57 კგ). პირველმა ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო, რაც ამ რანგის ტურნირისთვის უჩვეულო შემთხვევაა. განსაკუთრებით ეფექტურად ჩაატარა მან გადამწყვეტი ორთაბრძოლა ბულგარელ კრასიმირ რადოევთან. შესტაკოვმა კი ფინალში, ასევე ბულგარელ სტოიან ბალოვს 17:0 მოუგო.

საბჭოთა ნაკრებიდან კარელინისა და შესტაკოვის გარდა ჩემპიონები გახდნენ: ალექსანდრე იგნატენკო (52 კგ), ბისოლდ დეციევი (74 კგ), მიხეილ მამიაშვილი (82 კგ) და ანატოლი ფედორენკო (100 კგ.), ვერცხლის მედალი წილად ხვდა სერგეი სუვოროვს (48 კგ), ბრინჯაოსი — არუტიკ რუბენიანს (62 კგ) და პავლე პოტაპოვს (90 კგ). ერთადერთი საბჭოთა მოჭიდავე, რომელიც ვერ მოხვდა პრიზიორთა შორის ისლამ დუგუჩიევია (68 კგ), მან სტარტზევე წააგო ორი შეხვედრა და ბრძოლას გამოეთიშა.

დანარჩენ ოთხ წონაში ჩემპიონები გახდნენ: ლარს რენინგენი (48 კგ, ნორვეგია), ენე ბოდი (62 კგ, უნგრეთი), ატილა რეპკა (68 კგ უნგრეთი) და ივაილო იორდანოვი (90 კგ, ბულგარეთი).

---

ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად

ლაზერებისა და კომპიუტერების ეპოქაში სპორტიც ცდილობს არ ჩამორჩეს ცხოვრებას. ალბერვილის მომავალი ზამთრის ოლიმპიადის (1992 წელს) ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ თამაშებს ბევრი ტექნიკური სიახლე მოემსახურება.

ერთ-ერთი სიახლე იქნება მინიატურული გადამცემი, რომლებსაც სათხილამურო რბოლის ყველა მონაწილე მიიღებს. ეს აპარატი დისტანციიდან სადემონსტრაციო ტაბლოს გადასცემს სპორტსმენის ადგილმდებარეობას და იმ მომენტის შედეგს. ასეთი საკონტროლო წერტილი ტრასაზე ყოველ ათას მეტრში განლაგდება.

---

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონი**

**18 მაისი**

**ფეხბურთი**

**სსრ კავშირის პირველობა**

II ლიგა, IX ზონა

**„შევარდენი"-სპი (თბილისი) — „ბოიაზანი" (გაზახი)**

დასაწყისი 18 ს.

მატჩის შემდეგ გათამაშდება საფეხბურთო სპორტული ლატარია.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10752